შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№38 (9.603)

5-12 ოქტომბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ბალი-თვრამეტწლიანი პაუზის შემდეგ

18 წლიანი პაუზის შემდეგ დედოფლისწყაროს რაიონის საზღვრისპირა სოფელ ფიროსმანში, სადაც ძირითადად აჭარიდან ჩასახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ, საბავშვო ბაღი გაიხსნა. ცერემონია 1 ოქტომბერს გაიმართა და წითელი ლენტი ადგილობრივ მოზარდებთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა გაჭრა.

ორსართულიანი შენობა, რომელიც სოფლის ცენტრში, საჯარო სკოლის გვერდით მდებარეობს, თანამედროვე სტანდარტებითაა მოწყობილი და უახლესი ინვენტარით აღჭურვილი. როგორც სოფელ ფიროსმანის საბავშვო ბაღის დირექტორმა მაკა აკოფაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ამ დროისთვის ბაღში 28 ბავშვია რეგისტრირებული, თუმცა ამ რიცხვის ზრდა მოსალოდნელია.

საბავშო ბაღის ეზო და მიმდებარე ტერიტორია სავსე იყო ადგილობრივებით, ბავშვებს მოზარდებიც მრავლად ახლდნენ, ჩანდა, რომ სოფელი ერთიანად გამოცოცხლდა. იყო ბევრი ღიმილი და დიდი ჟრიამული.

სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელი მაია ყოჩიაშვილი ამბობს, რომ ადგილობრივები სოფელში საბავშვო-ბაღის ფუნქციონირებას იმდენად გადაეჩვივნენ, იმასაც ვერ იხსენებენ, როდის დაიხურა სოფელში ბაღი.

გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ადგილობრივები კმაყოფილებას ვერ ფარავენ და აღნიშნავენ, რომ მათი დიდი ხნის სურვილი ახდა, რაც ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებს ბევრად გააუმჯობესებს. ბავშვებიც დისციპლინას მიეჩვევიან, რაც მათი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია.

საბავშვო ბაღისთვის განკუთვნილი ეს შენობა მუნიციპალიტეტმა კერძო მოსახლისგან შეიძინა, სარემონტო სამუშაოების ნაწილი გასულ წელს განხორციელდა, ნაწილი კი წელს დასრულდა. ახალი ინვენტარიც სულ ახლახან შევიდა.

საზღვრისპირა სოფლის გაძლიერება და მოსახლეობის ადგილზე დამაგრება უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან ისინი საზღვარს ამაგრებენ. მით უფრო, რომ მიგრაციის პრობლემა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მწვავედ დგას, ამ სოფლების დაცლამ კი, შესაძლოა, სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს. ხშირად სწორედ საგანმანათლებლო დაწესებულებების არარსებობა ხდება ახალი თაობის სოფლიდან გადინების ძირითადი მიზეზი.

ღონისძიებას მოსახლეობასთან ერთად ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის დერექტორი მაია ყოჩიაშვილი და სოფელ ფიროსმანის რწმუნებული ვალიკო აბაშიძე.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, ადგილობრივმა მოსახლეობამ გამგებლის სოფელში სტუმრობით ისარგებლა და სხვა პრობლემებზეც გაამახვილა ყურადღება. ფიროსმანელმა ეკომიგრანტებმა ირაკლი შიოლაშვილს სათბობი შეშით მომარაგებაში დახმარება სთხოვეს. ცნობილია, რომ ამ ზონაში ტყე-კაფის არარსებობის გამო, მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფა გადაუჭრელ პრობლემად რჩება. იმის გამო, რომ სოფლები რაიონულ ცენტრს მკვეთრად მოწყვეტილია, ამ ზონის გაზიფიცირებაც ვერ მოხერხდა, ამიტომ ზამთრის სეზონზე მათი შეშით მომარაგების საკითხი აქილევსის ქუსლად რჩება. ადგილობრივებს შეშის შეძენა თელავსა და გურჯაანში უხდებათ, რაც მის ისედაც მაღალ ფასს კიდევ უფრო ზრდის. როგორც შეხვედრაზე მოსახლეობამ აღნიშნა, კიდევ ერთ მთავარ პრობლემად შეშის სოფლამდე ტრანსპორტირება რჩება.

როგორც გამგებელმა მოსახლეობას აუხსნა, თვითმმართველობა აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ მოხერხდეს რაიონული ცენტრიდან ბუნებრივი აირის მაგისტრალის გაყვანა ქედების ზონისა და საზღვრისპირა სოფლების მიმართულებით. ეს კი ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად განიხილება. ამასთან, კომპანია „სოკარი“ გზებს ეძებს, როგორ შეიძლება ნაკლები დანახარჯით მოხერხდეს ამ სოფლების გაზიფიცირება. პროცესის დაჩქარებას კი შორი მანძილი ართულებს, რაც საჭირო დაფინანსებას ზრდის.

ამას გარდა, გზის პრობლემაც მნიშვნელოვან საკითხად რჩება საზღვრისპირა სოფლებისა და ქედების ზონის მაცხოვრებელთათვის. დაახლოებით საათი და 40 წუთი დაგვჭირდა, ვიდრე სოფელ ფიროსმანში ჩავიდოდით. ხშირად ვხუმრობ, დედაქალაქში უფრო ადვილად და სწრაფად ჩავალ, ვიდრე ამ სოფლებში-მეთქი. თუმცა ცნობილია, რომ წელს ამ პრობლემის გადაჭრაც დაიწყო და ეტაპობრივად საგზაო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. მით უფრო, რომ გზის პარალელურად საკმაოდ ხარისხიანი სანიაღვრე სისტემა მონტაჟდება.

ილია მარტყოფლიშვილი

„ჯიჰადის“ ვიდეოს ავტორი გამოვლენილია

JIHAD against Georgian CRUSADERS

გვ. 3

ეკლიანი მცენარეების ქვეშ დაფარული ისტორია

გვ. 5

ეურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50. 2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 27 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

პრეზიდენტობის კანდიდატებს რიგითი ნომრები მიენიჭათ

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რიგითი ნომრები წილისყრით განისაზღვრა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით რამდენიმე პრეზიდენტობის კანდიდატმა პირადად მიიღო წილისყრაში მონაწილეობა და საკუთარი რიგითი ნომერი თავადვე გამოავლინა.

რიგითი ნომრების განსაზღვრის პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ „ნაციონალური მოძრაობის“, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ კანდიდატებს.

ცესკოს ინფორმაციით, მათ ისარგებლეს კანონით მინიჭებული უფლებით და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, 2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას საუკეთესო შედეგის მქონე მათი წარმდგენი პოლიტიკური პარტიების რიგითი ნომრები შეინარჩუნეს. შესაბამისად, დავით ბაქრაძის საარჩევნო ნომერი 5, გიორგი მარგველაშვილის 41, გიორგი თარგამაძის კი - 10 იქნება.

რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატებს, რიგითი ნომრები შემდეგნაირად განისაზღვრა - მიხეილ სალუაშვილი — 16, შალვა ნათელაშვილი — 9, ნესტან კირთაძე — 12, გიორგი ლილუაშვილი — 2, სერგო ჯავახიძე — 3, ნინო ბურჯანაძე – 14, ლევან ჩაჩუა — 11, ავთანდილ მარგიანი — 19, გიორგი თარგამაძე — 10, კობა დავითაშვილი — 4, ნუგზარ ავალიანი — 20, ზურაბ ხარატიშვილი — 15, თეიმურაზ მჟავია — 22, გიორგი ჩიხლაძე — 13, თეიმურაზ ბობოხიძე — 8, აკაკი ასათიანი — 6, ნინო ჭანიშვილი — 7, ქართლოს ღარიბაშვილი — 17, მამუკა ჭოხონელიძე — 18, თამაზ ბიბილური — 1, მამუკა მელიქიშვილი — 21.

სასჯელაღსრულების მინისტრი აშშ-ს ელჩს შეხვდა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საქმეთა მინისტრი სოზარ სუბარი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში, რიჩარდ ნორლანდს შეხვდა.

სამინისტროს ცნობით, შეხვედრა სასჯელაღსრულების სამინისტროში გაიმართა. შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, სამინისტროს მხრიდან კი მინისტრი სოზარ სუბარი, მინისტრის მოადგილე სოფიო ჯაფარიძე და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი ანა გუცაევი ესწრებოდნენ.

მინისტრმა ელჩს ბოლოდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა და სამინისტროში მიმდინარე რეფორმებზე ესაუბრა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ნარკოტიკების კონტროლისა და კანონიერების განმტკიცების შეთანხმებისა და სასჯელაღსრულების სექტორის განვითარების ორწლიანი პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს. მხარეებმა დეტალურად განიხილეს აღნიშნული პროგრამის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით პარლამენტი მუშაობას ერთი თვით წყვეტს

4 სექტენბერს საკანონმდებლო ორგანოში ბოლო სხდომა გაიმართა.

საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით დეპუტატები მუშაობას ერთი თვით წყვეტენ.

როგორც “მედიანიუსს” პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკო ნერგაძემ განუცხადა, მოქმედი კანონმდებლობით, საკანონმდებლო ორგანო საპრეზიდენტო არჩევნებამდე მუშაობას ერთი თვით ადრე წყვეტს. დეპუტატები დღეიდან საარჩევნო კამპანიაში ჩაერთვებიან.

საპარლამენტო უმცირესობისა და უმრავლესობის წევრები საარჩევნო შტაბში განაგრძობენ საქმიანობას. ისინი ამომრჩევლებს საპრეზიდენტო კანდიდატთან ერთად გააცნობენ საპრეზიდენტო პროგრამას.

ცნობისთვის: საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში 27 ოქტომბერს გაიმართება.

პარლამენტმა „პოლიციის შესახებ“ კანონპროექტი მიიღო

პარლამენტმა მესამე მოსმენით, “პოლიციის შესახებ” კანონპროექტი მიიღო. შინაგან საქმეთა სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივა დღევანდელ პლენარულ სხდომაზე 88-ხმით, 8-ის წინააღმდეგ გავიდა.

პარლამენტის თავმჯდომარემ კანონპროექტზე გაწეული მუშაობის გამო შსს-ს, იურიდიულ საკითხთა კომიტეტს და არასამთავრობო ორგანიზაციებს მადლობა გადაუხადა. დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ მათ ამ საკითხზე მუშაობას ბევრი დღე და ღამე დაუთმეს და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული კანონის მიღება პოლიციის მუშაობას გააუმჯობესებს.

პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი განსაზღვრავს პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, პოლიციის ორგანიზაციული მოწყობის სამართლებრივ საფუძვლებს, პოლიციის ფუნქციებს, პოლიციურ ღონისძიებებს და უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს, პოლიციაში სამსახურის გავლის წესს, სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, პოლიციის საქმიანობის კონტროლს.

პარლამენტმა პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების შემცირებასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ინიციატივა დაამტკიცა

103 ხმით, ერთხმად - პარლამენტმა მესამე მოსმენით პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების შემცირებასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ინიციატივა დაამტკიცა. საკითხს უმცირესობამაც დაუჭირა მხარი.

დღეს, პარლამენტმა საბოლოო მოსმენით ის საკანონსტიტუციო ინიციატივა მიიღო, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ასამოქმედებელი რიგი კონსტიტუციური ნორმების შეცვლას ითვალისწინებს. კერძოდ, მიღებული პროექტით, პრემიერ-მინისტრს ის უფლებამოსილება ერთმევა, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს პარლამენტის მიერ კანონპროექტის მიღება მთავრობის ნდობის საკითხს “მიაბას”. ამასთან, ამავე ცვლილებების გათვალისწინებით, პარლამენტის მიერ ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან ორი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის მიუღებლობა, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებად ჩაითვლება და შესაბამისი პროცედურები ამოქმედდება.

აღნიშნული საკონსტიტუციო პროექტი პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანაზე კონტროლსაც ეხება. კერძოდ, პროექტის გათვალისწინებით, კონსტიტუციაში რჩება პრეზიდენტის ვალდებულება, მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის ხუთი წევრით განახლების შემთხვევაში, პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობა წარუდგინოს. ეს ის ნორმაა, რომელიც კონსტიტუციაში ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აღარ იარსებებდა.

კენჭისყრის ბოლოს, პოზიცია დააფიქსირა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. მან განაცხადა, რომ კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, თუმცა, არანაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები ჯერ წინ არის.

იტალიაში გლოვის დღე გამოცხადდა

იტალიაში, კუნძულ ლამპედუზასთან აფრიკელი მიგრანტების დაღუპვის გამო გლოვის დღე გამოცხადდა.

ჩაძირულ აფრიკელი არალეგალების გემზე 500 ადამიანი იმყოფებოდა. მათ შორის ბავშვები და ქალები. ამ დროისათვის არსებული ინფორმაციით, გემის ჩაძირვას 130 ადამინი ემსხვერპლა, 200 ადამიანი კი დაკარგულად ითვლება. მათი ძებნა კვლავ მიმდინარეობს.

მაშველებმა 150 მეტი ადამიანის წყლიდან ამოყვანა და გადარჩენა შეძლეს.

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრის ანჯელინო ალფანოს განცხადებით, გემის 35 წლის ტუნისელი კაპიტანი დაკავებულია. მისი თქმით, იტალიიდან ტუნისელი კაპიტნის დეპორტირება აპრილში მოხდა.

“ეს არა მხოლოდ იტალიის, არამედ ევროპის ტრაგედიაა”, - განაცხადა ანჯელინო ალფანომ.

სასჯელაღსრულების სამინისტრო განცხადებას ავრცელებს

ბაჩო ახალაიას საკანში გადაღებულ ვიდეომასალასთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების სამინისტრო განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ბრალდებულ ბაჩო ახალაიაზე ელექტრონული მეთვალყურეობა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 13 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე მიმდინარეობდა.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულის თაობაზე შედგა სათანადო ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ბრალდებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მის მიმართ ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელების შესახებ იგი ინფორმირებული იყო და თანხმობა დადასტურებულია მისი ხელმოწერით.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, 2012 წლის 14 ნოემბერს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა, სოზარ სუბარმა საჯაროდ განაცხადა, რომ ბრალდებულ ახალაიას უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საკანში დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერა და ბრალდებული ამის შესახებ ინფორმირებული იყო. ასევე, ამავე პერიოდში, ახალაიას საშუალება ჰქონდა, მნახველებს სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში შეხვედროდა, სადაც ელექტრონული მეთვალყურეობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ვიზუალური კონტროლით.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, პატიმრობის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა. ამავე კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციას უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს აუდიო, ვიზუალური, ელექტრონული ან კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებები დაწესებულებიდან გაქცევის, სხვა დანაშაულისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და ბრალდებულთა ან მსჯავრდებულთა ყოფაქცევის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით.

სასჯელაღსრულების სამინისტროში აცხადებენ, რომ პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულთა ელექტრონული მეთვალყურეობა არის კანონიერი. რაც შეეხება ვიდეოჩანაწერის გავრცელებას, სათანადო რეაგირებისათვის მასალები გადაეგზავნება პროკურატურას.

შეგახსენებთ, რომ დღეს ბაჩო ახალაიას საკანში გადაღებული ვიდეომასალა გავრცელდა. კადრებში ჩანს, რომ სხვადასხვა დროს ბაჩო ახალაია საკანში მოინახულეს და გამოკითხეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა გელა მთივლიშვილმა, ნინო ზურიაშვილმა და ზურაბ ვარდიაშვილმა.

გადაღებულია ასევე ახალაიას და „ნაციონალური მოძრაობიდან“ პარლამენტის წევრის აკაკი მინაშვილის შეხვედრები. მინაშვილი ციხეში პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის სპეციალური ბრძანების საფუძველზე შედიოდა.

აღნიშნული ვიდეომასალა კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა.

აღნიშნულ კადრებთან დაკავშირებით, ფაცებოოკ-ის საკუთარ გვერდზე უჩა ნანუაშვილს უკვე მიმართა ახალაიას მეუღლემ, ანი ნადარეიშვილმა. სახალხო დამცველის აპარატში კი აცხადებენ, რომ ნანუაშვილი თბილისში არ იმყოფება და კომენტარს მას შემდეგ გააკეთებს, რაც აღნიშნულ კადრებს გაეცნობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილემ, გიგა გიორგაძემაც. მისი განცხადებით, ბაჩო ახალაიას საკანში ჩაწერილი აუდიო-ვიდეო მასალა საიდუმლო ინფორმაციას წარმოადგენს და მისი გარეთ გამოტანა დაუშვებელი იყო. ამიტომ, როგორც გიგა გიორგაძე ამბობს, მიმდინაროებს გამოძიება და დამნაშავის ვინაობას გამოძიება დაადგენს.

მავთულხლართები - ბერლინის კედლის ასოციაცია

საოკუპაციო ხაზთან გაბმული მავთულხლართები ბერლინის კედელს მაგონებს, - ამის შესახებ განცხადება ამირიკის ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა სოფელ ხურვალეთში დიპლომატებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების სტუმრობისას განაცხადა.

“ვითარება, რასაც ჩვენ ვხედავთ, ტრაგიკულია. მე ეს მაგონებს ბერლინის კედელს, როდესაც ხელოვნურად აღმართული ბარიერებით ხდება ხელის შეშლა, ადამიანები ვერ ახერხებენ თავის მინდვრებზე და წინაპრების საფლავებზე გასვლას”, - აცხადებს რიჩარდ ნორლანდი.

ნორლანდი ასევე აღნიშნავს, რომ ვიზიტის მიზანი ის იყო, რომ დიპლომატებს მისცემოდათ შესაძლებლობა, ადგილზე პირადად გაცნობოდნენ და ენახათ, თუ რა ვითარებაა შექმნილი ადმინისტრაციულ საზღვარზე.

„ჯიჰადის“ ვიდეოს ავტორი გამოვლენილია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ე.წ. „ჯიჰადის“ სახელით ვიდეოს გავრცელებისთვის ბრალი ყირგიზეთის მოქალაქეს სამარ ჩოკუტაევს დასდო, რომელიც სოხუმში მობილური კავშირგაბმულობის ერთ—ერთ კომპანიაში მუშაობს. შსს—ს პრესპიკერის ნინო გიორგობიანის განცხადებით, ბრალდებულის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე პრიმა მუხლით.

როგორც შინაგან საქმეთა სმამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მიღებულია გადაწყვეტილება გარკვეული ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ, თუმცა, დანაშაულის ხასიათიდან და მისი გამოძიების სპეციფიკიდან გამომდინარე, საგამოძიებო უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, გარკვეულწილად, ლიმიტირებული იქნება.

შსს—ს ინფორმაციით, სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ინტენსიური საგამოძიებო და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად დადგენილია დანაშაულის ჩამდენი პირი - 1989 წლის 6 მარტს დაბადებული ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევი, რომელიც სოხუმში მობილური კავშირგაბმულობის ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს.

„სამარ ჩოკუტაევს ბრალი დაედო „საქვეყნოდ ინფორმაციის გავრცელებაში ტერორისტული აქტის ჩადენისაკენ მოწოდების მიზნით, რაც წარმოშობს ასეთი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს“. საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით უდავოდ დადგენილია, რომ ბრალდებული სამარ ჩოკუტაევი არის მაღალი კვალიფიკაციის IT სპეციალისტი და დანაშაული მან საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ჩაიდინა, კერძოდ:

2013 წლის 4 ივნისს ბრალდებულმა სამარ ჩოკუტაევმა ინტერნეტ სივრცეში მომხმარებელ Hammad Zaman-ის სახელით განათავსა ვიდეორგოლი TALIBAN JIHAD AGAINST GEORGIAN TROOPS IN AFGHANISTAN, რომელიც შეიცავს ავღანეთში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მუქარას“.— აღნიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გამოძიების ინფორმაციით, უშუალოდ ვიდეორგოლის, აგრეთვე, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული ტექნოლოგიის დეტალური შესწავლისა და სათანადო ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდა:

პირველი:

ვიდეომასალა, რომელიც გამოყენებულია მუქარის შემცველი ვიდეორგოლის შესაქმნელად, მოპოვებულია თავისუფალი წვდომის ინტერნეტ სივრცეში, რგოლი შექმნილია ამ ვიდეომასალის დამონტაჟების შედეგად და მის დასამზადებლად ავტორს არ დასჭირვებია რომელიმე ქართული ტელეკომპანიის ვიდეოარქივთან უშუალო, ანუ ფიზიკური წვდომა.

მეორე:

დანაშაული ჩადენილია აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან. კვალის დაფარვის მიზნით, სამარ ჩოკუტაევმა გამოიყენა ქართული GSM ოპერატორების (მაგთიკომი, ჯეოსელი, მობიტელი) USB ინტერნეტ-მოდემები. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამივე GSM ოპერატორის სიხშირე, თავად ანძები კი, რომლებითაც ბრალდებული სარგებლობდა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა განლაგებული.

მესამე:

გამოძიებით უდავოდ დადგენილია, რომ სამარ ჩოკუტაევმა, აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან, მალაიზიაში წინასწარ მომზადებული სერვერის გამოყენებით, დაშიფრული ხაზით შეაღწია ქ.თბილისში, ორ სხვადასხვა მისამართზე მდებარე კერძო სტრუქტურათა ოფისების ინტერნეტქსელში და კვალის არევის მიზნით, იმგვარად ატვირთა მუქარის შემცველი ვიდეორგოლი აღნიშნულ ოფისებში განთავსებული როუტერების გამოყენებით, რომ შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს დანაშაული ამ ოფისების მიმდებარე ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი. შეგახსენებთ, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე, სწორედ თბილისში განთავსებული IP მისამართები იქნა იდენტიფიცირებული ქართველი სამართალდამცველების მიერ.



როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, სამარ ჩოკუტაევს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად დაუსწრებლად შეუფარდა პატიმრობა. ამჟამად ხორციელდება ბრალდებულის ძებნის ღონისძიებები, როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მადლობას უხდის მოკავშირე ქვეყნების სპეცსამსახურებს ამ საქმის გამოძიებაში გაწეული ქმედითი დახმარებისათვის.

დემურ გიორხელიძე - „ჩვენ ტრადიციულ რეჟიმში ვრჩებით“...

“ახალ რეალობაში ვგულისხმობ იმას, რომ ხელისუფლებაში იქნებიან ადამიანები, რომლებიც ბელადებს, პატრონებს, მამა-მარჩენლებსა და არქიფოებს არ წარმოადგენენ. ეს უკვე კარგია, დანარჩენი პოლიტიკური პროცესის შედეგი იქნება. რაც შეეხება ივანიშვილის წასვლას, ჩვენ ისევ ტრადიციულ რეჟიმში ვრჩებით და მივტირით “პატრონს”. ბიძინა ივანიშვილი კი გონიერი ადამიანია და გვეუბნება, რომ მარჩენლის როლს არ შეასრულებს. ივანიშვილის წასვლა ტრაგედია ნამდვილად არ არის, პოლიტიკაში არიან ორგანიზებული ძალები და ცხოვრება გაგრძელდება, არანაირი რყევები არ იქნება. თუმცა პრაქტიკული საქმე, ეს საუცხოო რესურსი, კარგად იცის დღევანდელმა პრემიერ-მინისტრმა და ივანიშვილს პლუს 10-15 მენეჯერი, რომლებიც ექსტრემალურ სიტუაციაში პოლიტიკურ ალღოსაც ფლობენ, შესანიშნავი კონფიგურაცია იქნებოდა”, - აცხადებს ექსპერტი დემურ გიორხელიძე გაზეთ “რეზონანსისთვის” მიცემულ ინტერვიუში, სათაურით გიორხელიძე: “არჩევნების შემდეგ ახალი რეალობის წინაშე დავდგებით”.

“ერთი წლის საქმიანობის შეფასებას ბევრი არაფერი დარჩა და მთავრობის ანგარიშის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ მისი ნაბიჯები. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთავრობა რთულ მდგომარეობაშია. როგორც ჩანს, წინა ხელისუფლების მმართველობის არსს ქართული საზოგადოება არ დაკვირვებია - ეს იყო სრულიად უნიკალური ექსპერიმენტი, როდესაც სახელმწიფოს ღერძი პენიტენციალური სისტემა და სისხლის სამართალი გახადეს. ეკონომიკა სისტემის გარეთ იყო. იმ მახინჯი ეკონომიკური პოლიტიკის გაგრძელება, რომელსაც წინა ხელისუფლება ახორციელებდა და მხოლოდ ციფრებით მანიპულირებდა, შეუძლებელი იყო და ჩიხურ სიტუაციამდე მიგვიყვანდა. ახლა ხდება ამ პოლიტიკის გადაწყობა, რაც, რა თქმა უნდა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებას გამოიწვევდა. ამ რისკზე მთავრობა უნდა წასულიყო. ამჟამად ეკონომიკა იზრდება, ოღონდ ზრდის ტემპები არის დაბალი”, - აღნიშნავს გამოცემის კორესპონდენტთან საუბრისას დემურ გიორხელიძე.

“ვფიქრობ, 2013 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა გვექნება 2,5-3%-ის ფარგლებში და არ გვექნება წინა ხელისუფლების მიერ ჩადებული 6%-იანი ზრდა. მთავრობა მაშინ იქნება ძალიან მკაცრად გასაკრიტიკებელი, თუ 2014 წლისთვის სამუშაო ადგილების შექმნა არ დაიწყო და მცირე და საშუალო ბიზნესს ხელი არ შეეწყო”, - მიიჩნევს რესპონდენტი და შეკითხვას - “რამდენიმე დღის წინ დაფუძნდა თანაინვესტირების ფონდი, რომელიც არაბ ინვესტორთა, ჩინური კომპანიისა და რამდენიმე მდიდარი ქართული ოჯახის თანხებით არის შექმნილი. იქ რა მოლოდინი შეიძლება იყოს?” - პასუხობს:

“ჩვენ რომ დალაგებული სახელმწიფო ვიყოთ, საბაზრო ეკონომიკის მქონე, ასეთი ფონდის შექმნა უბრალო ინფორმაციის დონეზე გავიდოდა ნიუსებში და არანაირი ზედმეტი ყურადღება არ მიექცეოდა, მაგრამ აქ სულ სხვა სიტუაციაა და ამ ჭაობის მდგომარეობიდან გასვლა აუცილებელია. თვითონ ფონდის შექმნის ფაქტი კარგია, მთავარია მისი საქმიანობის შინაარსი, ანუ ამ ფონდის რეალური მდგომარეობა ინვესტიციების განხორციელების შემდეგ, საკუთრების ფორმა ინვესტირებულ პროექტებში, საკუთრების მომავალი და სხვ. ყველა საქმეში არის რისკები და ამ ფონდთან დაკავშირებითაც. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ფონდი კაიმანის კუნძულებზეა დარეგისტრირებული, წმინდა ოფშორული კომპანიაა და ფონდის ძირითადი გადასახადები საქართველოს კანონმდებლობას აცდება. ცხადია ისიც, რომ კერძო ფონდი კერძო ინტერესის დაკმაყოფილებაზე იზრუნებს და სულაც არ არის ვალდებული, სახელისუფლებო პროგრამების შესრულებაზე იფიქროს. არაბ მილიარდერებს საქართველოს მომავალზე ზრუნვას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ შეიძლება მათ შევუქმნათ იდეალური პირობები ბიზნესის კეთებისთვის და ინვესტიციები ეკონომიკურად და სოციალურად საქართველოს განვითარებითვის მიმართულ პროექტებში დავაბანდებინოთ”.

“ცხადია, ფონდის საქმიანობა სასარგებლო იქნება, თუ მთავრობა სწორად წარმართავს და საზოგადოების ინტერესებიდან გამოვა, არ განახორციელებს ინვესტორების მოზიდვის ბრმა სტრატეგიას და გრძელვადიან პერსპექტივაში მოზომავს, როგორი იქნება საკუთრების ბალანსი - ხომ არ იქნება ქვეყანა ჩამოკიდებული მხოლოდ არაბ და სხვა მილიარდერებზე, რომელთაც, ნება რომ მისცე, სულაც იყიდიან საქართველოს? ბოლოს და ბოლოს, საქართველოს მატერიალური სიმდიდრე გაეროს სპეციალური მეთოდიკით შეფასებულია მხოლოდ 284 მილიარდ ამერიკულ დოლარად - არაბებს არ გაუჭირდებოდათ ამ ფულის შეგროვება. ვფიქრობ, ფონდის წარმატებული საქმიანობა და პირველ რიგში მიზანმიმართულება ერთ-ორ წელიწადში გამოჩნდება და შეიძლება საუკეთესო სტიმული გახდეს სხვა კერძო ფონდების შექმნისთვის”, - დასძენს დემურ გიორხელიძე.

ეს იყო ერთი დაუვიწყარი დღე

ოქტომბრის პირველი კვირის ბოლოს, ტრადიციულად, მასწავლებელთა პროფესიული დღე აღინიშნება. წელს, 16 სექტემბერს, ახლი სასწავლო წელი საკმაოდ დიდი სიახლეებით დაიწყო: ბევრი სკოლა გარემონტდა და დგამ-ავეჯით აღიჭურვა, ბევრი ახალი სკოლაც აშენდა, მაგრამ ყველაზე მთავარი და სასიხარულო მოსწავლეებისათვის უფასო სახელმძღვანელოების დარიგება იყო, რომელმაც დიდი ეკონომიური შეღავათი მისცა მათ ოჯახებს. 5 ოქტომბერს დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ეზოში, ღია ცის ქვეშ საზეიმო საღამო გაიმართება ცოდნის დღესთან დაკავშირებით. ყველა პედაგოგს ვულოცავთ პროფესიულ დღესასწაულს და ვუსურვებთ წარმატებებს. გამორჩეულად კი, ამ წერილში სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის ყოფილ და ახლანდელ მასწავლებლებს გამოვყოფ. თუ რატომ, ამას ქვემოთ შეიტყობთ:

სწორედ ნახევარი საუკუნის წინ-1963 წლის 1 სექტემბერს (მაშინ სწავლა 1 სექტემბერს იწყებოდა და მისი შეცვლა სექტემბრის მეორე ორშაბათით ჩემთვის პირადად მიუღებელი და უაზრო!) მოსწავლის ფორმაში კოპწიად გამოწყობილმა და შემოდგომის ყვავილებით ხელდამშვენებულმა ოცდაათმა ბავშვმა პირველად შეაღო სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის კარი და პირველკლასელის სტატუსი მოიპოვა. მათ მშობლიური მზრუნველობით და სითბოთი შეეგება დაწყებითი სწავლების ერთ-ერთი გამოცდილი პედაგოგი რუსუდან მაჩაბლიშვილი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში მათი ცოდნის საძირკვლის ჩაყრისა და აღზრდისათვის თავდაუზოგავად შრომობდა. მათ მეხუთე კლასიდან კიდევ ათი მოსწავლე დაემატა თავწყაროს დაწყებითი სკოლიდან და მოსწავლეობის ლაღი და შეურყვნელი წლები ერთმანეთს მისდევდა-ერთად სწავლობდნენ, ერთად ცელქობდნენ, ერთად დადიოდნენ"შატალოზე", ერთი იყო მათი ჭირი და ლხინი. ასე გაიარა ათმა წელმა და 1973 წელს ცხოვრების გზაგასაყარზე ისინი გამარჯვების საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის სტატუსით სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ: ზოგმა უმაღლეს სასწავლებელს მიაშურა, ზოგმა საკოლმეურნეო ველ-მინდვრებს. ცხოვრების დინებამ ყველას თავისი ადგილი მიუჩინა. მას მერე ორმოცი წელი გავიდა. ამ ორმოც წელში ჩვენს ქვეყანაში უპრეცედენტოდ ბევრი რამ მოხდა: წარსულს ჩაბარდა სოციალისტური წყობილება, საქართველომ სისხლის ფასად მოიპოვა თავისუფლება, ბევრი შიდა და გარე ფაქტორით გამოწვეული ტკივილი და უბედურება დატრიალდა... ეს ყველაფერი იმ ადამიანებმაც საკუთარ მხრებზე გადაიტანეს, ვისზეც ზემოთ მოგითხრობდით. და აი, მიმდინარე წლის 28 სექტემბერს, შაბათ დღეს, მათ ყველამ კიდევ ერთხელ, ორმოცი წლის შემდეგ, თავი მშობლიური სკოლის ეზოში მოიყარა. ახლა ისინი ხუთათეულს გადაცილებული, თმაშევერცხლილი, ჭარმაგი ადამიანები არიან, რომლებმაც თავისი ცხოვრების დიდი გზა გაიარეს. შესცქერიან ერთმანეთს და ... ზოგიერთ მათგანს ორმოცი წელია, ერთმანეთი არ უნახავს, უჭირს, ამოიცნოს ბავშვობის მეგობარი და როცა ნაცნობ ღიმილს ან იერს მიაგნებს, სიხარულით იძახის: ნუთუ შენ ხარ?! მღელვარება იმდენად დიდია, სიტყვას სიტყვაზე ძლივს აბამენ, პირველი შეხვედრის ემოციები თანდათან ცხრება და სკოლის ზარიც გაკვეთილისკენ უხმობთ. გაკვეთილს კლასის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი ჟუჟუნა პოპიაშვილი ატარებს: -თითოეული მათგანი თავისი განვლილი ცხოვრების ანგარიშს აბარებს. სათქმელი და მოსაყოლი კი ბევრი აქვთ ერთმანეთისთვის. ამ შეხვედრის მოწყობა ერთმა გარემოებამ განაპირობა. ამ ზაფხულს, ივლისის თვეში, ვლადიკავკაზიდან (ყოფილი ორჯონიკიძე) ორი თანაკლასელი გოგი გიქოშვილი და ირაკლი გაზაშვილი თავწყაროში ჩამოვიდნენ ახლობლების მოსანახულებლად. ისინი გასული საუკუნის 90-იან წლებში, მაშინ, როცა ზვიად გამსახურდიას მთავრობამ საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას პრობლემები შეუქმნა, საქართველოდან წავიდნენ და მაშინდელ ორჯონიკიძეში დასახლდნენ. გვარებიც ისევ ოსურად გადაიკეთეს. ახლა ისინი გაზაევის და გიქოევის გვარით ცხოვრობენ. ახლობლებთან ერთად თანაკლასელებიც მოიკითხეს, მაგრამ ვერ მოახერხეს მათი ნახვა, მოსავლის აღება იყო და უმრავლესობა მინდორში იყო გასული, ზოგიც რაიონში აღარ ცხოვრობს. ადგილზე გამარჯვების საჯარო სკოლის პედაგოგი, მათი თანაკლასელი ქსენია ზუბიაშვილი დახვდათ, რომელიც დაჰპირდათ, რომ 40 წლის აღსანიშნავ ღონისძიებას ორგანიზებას გაუკეთებდა. ბიჭებმა კი პირობა დადეს, რომ აუცილებლად ჩამოვიდოდნენ. არც ერთს არ გაუტეხია სიტყვა. ქალბატონმა ქსენიამ თანაკლასელ შალვა გიგაურთან ერთად დიდი შრომა გასწია , რომ 40 წლის უნახავი თანაკლასელებისთვის თავი ერთად მოეყარა.

ჩვენ ქსენია ზუბიაშვილს ვესაუბრებით:

-საშუალო სკოლა 24 ბავშვმა დავამთავრეთ. აქედან ორი-თამარ პოპიაშვილი და გოგი ჭინჭარაული ამქვეყნად აღარ არიან. მათ ნაადრევად დატოვეს ეს სამყარო და მარადისობაში გადასახლდნენ. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროთ. ლიზა ჭინჭარაული დიდი ხანია ამერიკაში ცხოვრობს და ამერიკის მოქალაქეა, ოჯახი აქვს, უკვე დაოჯახებული ქალ-ვაჟი ჰყავს და შვილიშვილებიც. დარეჯან წიკლაური კი საბერძნეთშია. მას სამი შვილი ჰყავს. ვაჟი დაქორწინებულია, ქალიშვილი კი გერმანიაში მაგისტრატურაში სწავლობს. დასანანია, რომ ქართველები ლუკმის საშოვნელად მსოფლიოს მოედვნენ და თავისი ქვეყანა ენატრებათ. ლიზამ და დარეჯანმა ჩამოსვლა ვერ შეძლეს, მაგრამ მთელი საღამო ტელეფონით გვეკონტაქტებოდნენ, თითოეულ ჩვენგანს ეფერებოდნენ და ცრემლად იღვრებოდნენ გულდაწყვეტილები. ისინი მხოლოდ ფიზიკურად იყვნენ შორს, თორემ სულით და გულით ჩვენს გვერდზე იყვნენ. გოგიმ და ირაკლიმაც პირობა შეასრულეს. მიუხედავად იმისა, რომ იმ დღით გაზაევების გვარის კურთხევა იყო, ირაკლიმ მაინც საქართველოში ჩამოსვლა არჩია. იქ ცხოვრება უფრო იოლია, მაგრამ ჩვენი ბავშვობის ადგილ-სამყოფელი, ჩვენი ქვეყანა მაინც ძალიან გვენატრებაო, ამბობდნენ და 40 წლის უნახავი მასწავლებლებისა და მეგობრების ალერსით ვერ ძღებოდნენ. ბოლოს ჩვიდმეტმა მოვიყარეთ თავი. ზოგი მეუღლესთან ერთად მოვიდა , რამაც ძალიან გაგვახარა. ყველა მათგანი დაოჯახებულია, შვილებით და შვილიშვილებით სავსე. თამარ გვარამაძე 5 შვილით და 8 შვილიშვილით იწონებდა თავს, სუფრის თამადა ოთარ თევდორაძე თავის ოინებს იხსენებდა - კანფეტსა და „პრიანიკზე"დადებული სანაძლეოების „ფასად" როგორ „ურევდა'' გაკვეთილზე და მდგომარეობიდან გამოჰყავდა პედაგოგები. ხომ გაგიგონიათ, კიტრის ქურდი იანვარში დაიკვეხნისო. ჰოდა, ჩვენც უამრავ რამეს ვიხსენებდით, იმარცვლებოდა მოგონებათა კრიალოსანი, რომელსაც ბოლო არ უჩანდა, მეექვსე ათწლეულს მიახლოებული ადამიანები ისე ვლაღობდით, როგორც ბავშვობაში, დაუვიწყარი დღე იყო, სიყვარულით და სითბოთი სავსე, განუმეორებელი. ამ განცდების სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია. ჩვენ ბედნიერები ვიყავით. პედაგოგების მხოლოდ ნაწილმა მოახერხა მოსვლა. ჩვენთან ერთად იყო ჟუჟუნა პოპიაშვილი, რომელიც მეხუთედან მეცხრე კლასამდე ჩვენი კლასის ხელმძღვანელი იყო. მეათე კლასში ახალბედა ფიზიკოსი ცისმარი ღორაშვილი გახდა ჩვენი დამრიგებელი. მან ვერ შეძლო მოსვლა, რითაც ყველას დაგვწყვიტა გული. ჩვენთან ერთად იყვნენ ინგლისური ენის პედაგოგი ქეთინო ალადაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რუსუდან გუგენიშვილი, ბიოლოგი გულნარა ღორაშვილი. მადლობა ყველას - მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც, რომ გამონახეს დრო, მოვიდნენ და ერთმანეთს ვაჩუქეთ ის დიდი სიყვარული, რომელიც მინავლული ნაპერწკლიდან ისევ აალდა და კვლავაც დიდხანს გაგვყვება საგზლად, -ემოციებს ვერ ფარავს ქალბატონი ქსენია.

არანაკლები ემოციით დატვირთულია პედაგოგ გულნარა ღორაშვილის მონათხრობი: -ოცდასამი წლის ვიყავი, მათ კლასში რომ შევედი. ეს იყო 1972-73 სასწავლო წელი, ჩემი პირველი გაკვეთილი, პედაგოგიური მოღვაწეობის გარიჟრაჟი. მანამდე ფიზიკა-ქიმიის კაბინეტში ლაბორანტი ვიყავი, ამ ბავშვებთან ურთიერთობა მქონდა, მაგრამ პედაგოგის რანგში წარდგომა ძალიან მაღელვებდა, თანაც, სკოლის მაშინდელმა დირექტორმა ხვთისო ალუღიშვილმა, ნათელში იყოს, მითხრა: თუ დისციპლინის დამყარება გაგიჭირდა, ჩემთან ნუ მოხვალო. ეს იყო გაფრთხილება, რომელმაც სრული მობილიზება გაუკეთა ჩემს პედაგოგიურ შესაძლებლობებს და რომელიც დღემდე მომყვება. არც მაშინ და არც ახლა ბავშვებთან ურთიერთობა არასოდეს გამჭირვებია, ისინი ჩემს სიყვარულს გრძნობენ და აფასებენ, მე-მათსას. ასე რომ, ამ დღეს ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავიც გახლდათ. დიდი სიამოვნება მივიღე, გავიხარე. ჭაღარა ვაჟკაცები გულში რომ ჩაგიკრავენ და თბილად გეტყვიან-როგორ ბრძანდებით, გულნარა მასწავლებელოო, - ვფიქრობ, რომ ცხოვრება ამად ღირს, ამაზე დიდი ბედნიერება რა არის? ! ბევრი მათგანი სკოლის დამთავრების შემდეგ აღარ მინახავს. ჩემს მეხსიერებაში ისინი სკოლის ფორმაში გამოწყობილი გოგონები და პირტიტველა ბიჭები იყვნენ, დღეს კი ჭარმაგი ვაჟკაცები და ქალბატონები ვიხილე, გავეცანი მათ განვლილ ცხოვრებას. მიხარია, რომ ბევრი მათგანის თვალებში და ქცევაში დავინახე ოჯახური ურთიერთობით გამოწვეული ბედნიერება და კმაყოფილება. ეს ადამიანის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია. არანაირი ქონება და მატერიალური უზრუნველყოფა არ შეედრება იმ ბედნიერებას, რაც თანამეცხედრესთან ჰარმონიულ ურთიერთობას მოაქვს. ვყოფილვარ სკოლის დამთავრების 5-10 -15 წლისთავზე, მაგრამ 40 წლისთავი მათ პირველებმა იზეიმეს. დატკბნენ ერთმანეთთან ყოფნით და ჩვენც დაგვატკბეს. პატივი მიაგეს გარდაცვლილი თანაკლასელების და პედაგოგების ხსოვნას და ერთმანეთს დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა უსურვეს. მეც ამ სურვილს ვუერთდები. მადლობა ქსენია ზუბიაშვილს, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა ამ ყველაფერს. ის მოსწავლეობაშიც გამოირჩეოდა როგორც კარგი სწავლით, ასევე ორგანიზატორული ნიჭით, -ამბობს ქალბატონი გულნარა.

* * *

ეს ერთი დაუვიწყარი დღეც დამთავრდა. ყველა თავის ცხოვრებას დაუბრუნდა და თან გაიყოლა ის დიდი სითბო და სიყვარული, რომელსაც ბავშვობის ტკბილი დღეების მოგონება ჰქვია.

ნაირა გორაშვილი

რა ისტორიას ინახავს ეკლიანი მცენარეებით დაფარული 300 ჰექტარი ?..

დედოფლისწყაროში, ვაშლოვანის ნაკრძალის სიახლოვეს არსებული ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის ტერიტორია 20 წელზე მეტია, უყურადღებოდაა მიტოვებული. 300 ჰა მიწის ნაკვეთის გამოყენება ამ დრომდე ვერ ხერხდება. ეკლიანი მცენარეებით დაფარული ტერიტორია ათეულობით წლების წინ მედიკამენტების წარმოებისთვის გამოიყენებოდა და ნედლეული ოდესაში იგზავნებოდა. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ კი ამ ტერიტორიის ბედი გაურკვეველი დარჩა.

ამ ტერიტორიის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ვაშლოვანის ნაკრძალის ყოფილი თანამშრომელი ამირან კოდიაშვილი, რომელიც ამბობს, რომ ის პერიოდი კარგად ახსოვს.

ამირან კოდიაშვილი: „ეს 300 ჰა მიწის ნაკვეთი საქართველოს ფარმაკოლოგიის ინსტიტუტს გამოეყო. იმხანად, დაასაბუთეს, რომ სამხრეთამერიკული მცენარე, რომელსაც სახელად ჰქვია „იუკა დიდებული“, დედოფლისწყაროში, ვაშლოვანის ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზეც კარგად იხარებდა და აქაურ კლიმატს ადვილად შეეთვისებოდა. აღმოჩნდა, რომ ჩვენი კლიმატი ძალიან ახლოსაა სამხრეთამერიკულთან. შესაბამისად, „იუკას“ ფარმაკოლოგიური მიზნებისთვის იყენებდნენ და აღმოჩნდა, რომ აქაც შესაძლებელი იყო მისი გაშენება. მართლაც ჩამოიტანეს. თავდაპირველად მცირე ოდენობით გააშენეს და ნახეს, რომ გაამართლა. თუმცა, შემდეგ გაჩნდა ბიზნეს იდეა, ოდესის ფარმაკოლოგიის ქარხანას ესაჭიროებოდა ნივთიერება „ტიგონინინი“, რომელიც ამ მცენარის ფოთლებისგან მზადდება.

„იუკა“ იმდენად ძლიერად მოედო, მისი გაწმენდა ვერ მოხერხდა. ამოძირკვას შეეცადნენ, ტერიტორია მოხნეს, მაგრამ უფრო მეტი სიხშირით ამოვიდა. 20 წელია ასე უპატრონოდაა“

– რა სახის მედიკამენტების მომზადებაში იყენებდნენ ამ ნედლეულს?

– როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ამ ფოთლებისგან მიღებული ნივთიერება „ტიგონინინი“ გამოიყენება სხვადასხვა მედიკამენტებში ეფექტის გასაძლიერებლად. მაგალითად, „ანალგინისა“ და „პენტალგინის“ შემადგენლობაში იყენებენ.

იყო ასეთი შეთანხმება, რომ საქართველოში მოეშენებინათ ამ მცენარის საკმაოდ დიდი პლანტაცია. შემოვიდა სპეციალური კომბაინები, რომლებიც ჭრიდა ფოთლებს, ახმობდნენ, ფქვავდნენ და შემდეგ მისი ოდესის ქარხნისთვის მიწოდება ხდებოდა. დასაქმებული იყო ხალხი და მრავალი სარგებელი მოჰქონდა. ანუ, ორივე მხარე მოგებული აღმოჩნდა. ამ ნაკვეთის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ ოდესის მხარეს ნედლეული სამხრეთაფრიკიდან აღარ შემოჰქონდა, რადგან ძალიან ძვირი ჯდებოდა. დედოფლისწყაროდან მომარაგებით კი ის ხარჯებს მნიშვნელოვნად ზოგავდა.

– ანუ, „იუკას“ აქ გაშენება წარმატებული აღმოჩნდა?

– ეკონომიკურად ბოლომდე გაამართლა თუ არა, ძნელია ამის თქმა, რადგან ეს პროცესი, სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის დაშლას დაემთხვა და ეკონომიკური თუ სავაჭრო კავშირები შეწყდა. არავინ იცის, არსებობს თუ არა ოდესის ქარხანა, არც საქართველოში გვაქვს ისეთი ქარხანა, რომელიც აქ მოყვანილ მცენარეს გადაამუშავებს და გამოუყენებლობის გამო უყურადღებოდ მიტოვებული აღმოჩნდა. რადგან 300 ჰექტარი მიწა დღემდე ასე გამოუყენებელი რჩება, რაღაც პერიოდის შემდეგ მისი ამოძირკვა და ტერიტორიის გასუფთავებას შეეცადნენ, მაგრამ რთული აღმოჩნდა. მის გასაჩანაგებლად, დაახლოებით 7-8 წლის წინ ტერიტორია მოხნეს, თუმცა აღმოჩნდა, რომ უფრო მეტი სიხშირით ამოვიდა. რეალობა არის ისეთი, რომ ტერიტორიას ეს მცენარე ისე ძლიერად მოედო, მისი გაწმენდა ძალიან ძვირი ჯდება და ფიზიკურადაც რთული სამუშაოა. ფარმაკოლოგიის ინსტიტუტი თუ კიდევ არსებობს, ალბათ მათთან უნდა მოხდეს დაკავშირება და ამ საკითხის გადაწყვეტა.

– ნაკრძალის გვერდით მდებარე ეს 300 ჰა მიწის ნაკვეთი დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში არ შედის?

– არა, ნაკრძალს არ ეკუთვნის, მაგრამ ვის ეკუთვნის ეს ნაკვეთი დღემდე უცნობია. თუმცა, ამ ტერიტორიამ ვაშლოვანის ნაკრძალისთვის ერთგვარი ბუფერის ფუნქცია შეასრულა. იმის გამო, რომ მცენარე ეკლიანია, საქონელი ვერ შედის. შეიქმნა ჩრდილი და რომ გადახედოთ, საოცარი ტყე ამოდის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე და გასული 20 წლის მანძილზე საკმლის ხეები ამოვიდა.

– ამგვარი მცენარეები ოჯახებშიც მინახავს...

– კი, ოჯახებშიც გვხვდება. „იუკა“ დეკორატიული მცენარეა, ბაღებისა და სკვერების გამწვანების დროსაც გამოიყენება, თუმცა, ცნობილია, რომ მისი ყვავილის სუნი საკმაოდ ცუდად მოქმედებს ადამიანზე და თავის ტკივილებსაც იწვევს. ანუ, რეკომენდირებული არ არის, ეს მცენარე მოვათავსოთ ისეთ ოთახში, რომლის ხშირი განიავებაც ვერ ხერხდება.

ილია მარტყოფლიშვილი

სემინარი კლიმატის ცვლილების საკითხებზე

29-30 სექტემბერს, კაჭრეთში (სასტუმრო „ამბასადორი“) აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამის“საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია” ფარგლებში საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულმა ასოციაციამ თვითმმართველობის მოხელეებისათვის ტრენინგ-პროგრამის პრეზენტაცია და სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები გაეცნენ პროგრამის განხორციელებულ საქმიანობას და მომავალ აქტივობებს, ასევე მოხდა ტრენინგ-მოდულების პრეზენტაცია. ტრენინგ-პროგრამა კლიმატის ცვლილების, სოფლის მეურნეობის,მდგრადი განვითარებისა დ გარემოსდაცვით საკითხებზე თემების ფართო სპექტრს მოიცავს და ადგილობრივ დონეზე კვალიფიცური კადრების მომზადებას შეუწყობს ხელს.

პროგრამა წარმოადგენს საკვანძო ინიციატივას, რომელიც მიმართულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის დღის წესრიგში გარემოს დაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებაზე. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების და სოფლის მეურნეობის საკითხების აქტუალიზაციას და აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე სპეციალური ერთეულების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციების განხორციელებას ბუნებრივი რესურსების მართვის, სივრცითი დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების სფეროში.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ, ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე.

აშშ-ს მთავრობა მხარს უჭერს აღნიშნულ ინიციატივას საქართველოში, როგორც მნიშვნელოვან ძალისხმევას საქართველოს ბუნებრივი რესურსების ეფექტური მენეჯმენტისა და დაცვისათვის. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა გარემოს დაცვის ექს მინისტრი,საქართველოს მწვანეთა მოძრაობის “დედამიწის მეგობრები” თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე.

ინგა ჯიოლაშვილი

სუიციდი – სიმხდალე თუ გამბედაობა

ამ დღეებში სოფელ სამრეკლოში მცხოვრებმა მოზარდმა თავი მოიკლა. როგორც ამბობენ, ბავშვის ოჯახს არც ეკონომიკური და არც სხვა სახის პრობლემა არ ჰქონია. გარდაცვლილი საკმაოდ კარგადაც სწავლობდა. თვითმკვლელობის მიზეზი უცნობია. ეს არაა ერთადერთი ან გამონაკლისი შემთხვევა საქართველოში. სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდება, რომ ბოლო წლებში თვითმკვლელობის ფაქტებმა მნიშვნელოვნად იმატა.

სუიციდი, იგივე თვითმკვლელობა მოზარდებში განსაკუთრებით გავრცელებული ფენომენია. ბოლო დროს ცნობილი გახდა, რომ ყოველწლიურად გარდაცვლილ მოზარდზე თითქმის ყველა მეოთხე თვითმკვლელობის შემთხვევაა. სუიციდის თემა აქტუალურია მოზრდილებთანაც და ის არაა მხოლოდ აფექტური, გაუაზრებელი აქტი. მისი მიზეზები გაცილებით ღრმაა და ხშირად მჭიდრო კავშირშია კოგნიტურ სფეროსთან. ერთია ის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, რომელიც თვითმკვლელობის აქტის მიზეზებად შეიძლება მოვიაზროთ და მეორეა თვით ეს ფენომენი კაპიტულაციას ნიშნავს თუ გამარჯვებას, გამარჯვებას ყოფიერების აბსურდსა და ცინიზმზე.

ალბერ კამიუ ერთ-ერთ ახალგაზრდობისდროინდელ ნაწარმოებში "ქორწინება " წერს, იმედი კაცობრიობის უდიდესი მტერიაო. ფრანგ მწერალ-ფილოსოფოსს შეიძლება ბევრიც შევედავოთ, მაგრამ ისიც ხომ შესაძლებელია, პანდორას ყუთში იმედი რომ არ დარჩენილიყო, გაცილებით მეტ ადამიანს მოეკლა თავი ყოველდღიურად. იმედი კი რჩება, როგორც მარადიული, მჭრელი სატყუარა ადამიანებისთვის, რომლებიც იტანენ გაწამებულ ყოფიერებას სწორედ ი მ ე დ ი თ.

თვითმკვლელობა ერთი მხრივ ლაჩრობას ჰგავს. ერთი შეხედვით ეს მართლაც ნათელია. ბუნებრივია, ეს გაქცევის მცდელობაა ყველაფრისგან, რაც გართმევს უფლებას თუ საშუალებას, იცხოვრო ადამიანურ არსებასავით. ესაა აქტი, რომელიც ერთი თვალის შევლებით წითელი დროშების გამოფენას ჰგავს, მაგრამ როგორც ყველა მედალს, მასაც აქვს მეორე მხარე. მაინც რა შეიძლება ჩაითვალოს მედლის მეორე მხარედ?- ალბათ, ლაჩრობის საპირწონე- გამბედაობა. დიახ, თვითმკვლელობას დიდი გამბედაობაც სჭირდება, რადგან ბევრი შემთხვევა ახსოვს არა მარტო კაცობრიობის ისტორიას, არამედ ჩვენს ყოველდღიურობასაც, როცა სიკვდილისთვის განწირულ ადამიანს შეშინებია და დახმარებაც უთხოვია... სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

"თავის სიკვდილით თავს ვერ დაიხსნი"- თუ არ ვცდები სერგეი ესენინს სწერდა ჩვენი ცისფერყანწელი, ტიციან ტაბიძე. რა თქმა უნდა, თვითმკვლელობა ღალატსა და უღირსი გამოსავლის შერჩევას ჰგავს, მაგრამ სწორედაც საკვირველია, რომ ამ ბურუსში თითქმის ვერასდროს ვერ ხედავენ იმ სულიერ ძალას, რომელსაც ეს ადამიანები ავლენენ და პოულობენ საკუთარ თავში. თვითმკვლელობა რომ ადვილი იყოს, ალბათ ნახევარი კაცობრიობა გაწყდებოდა, ვინაიდან ყოველდღიურად უამრავი ადამიანი უძლებს დამცირებასა და არაადამიანურ მოპყრობას, უმძიმეს ყოფით პირობებსა და საკუთარი არსებობის აბსურდულობის განცდას. საკვირველია, ამ აქტში ვერ დაინახო გენიის საიდუმლო, რომელიც ძალას გაძლევს, ადამიანებს იმდენად აძლიერებს, ჯოჯოხეთის ცეცხლიც ვეღარ აშინებს, არ აქვს დიდი მნიშვნელობა ათეიზმსა და თეიზმს ამ შემთხვევაში, რადგან ყოველთვის არსებობს ადამიანში მოსალოდნელი სასჯელის შიში. ნუთუ ლაჩრები არიან ადამიანები, რომლებმაც საბჭოთა გაუსაძლის ყოფას თვითმკვლელობა არჩიეს? როცა ცხოვრება გაუსაძლისია და ამ აბსურდის მყისიერად დასრულების ძალას პოულობ, არ შეიძლება გერქვას მხდალი. არ ვიცი, ვისთვის არიან მხდალები პაოლო იაშვილი ან გალაკტიონი.

რა თქმა უნდა, სუიციდისთვის ხოტბის შესხმა არც კი მიცდია, მაგრამ მაინც ღირს დაფიქრებად რა ძალისხმევა სჭირდება და რაოდენ დიდია მსხვერპლი. ადამიანები აქამდე მხოლოდ მას შემდეგ მიდიან, როცა მათივე მსგავსი არსებები მიწიერ ჯოჯოხეთს უქმნიან. მერე კი შეშლილებად და დამარცხებულებად რაცხავენ.

არ მინდა ეს წერილი ვინმემ თვითმკვლელობის წახალისებად ჩათვალოს, არ მინდა, ზოგიერთმა იფიქროს, რომ სუიციდის გადაწყვეტილებამდე მისვლას მხოლოდ ან ძალიან ლაჩრები ან ძალიან გამბედავები იღებენ, მაგრამ ფაქტია, რომ თვითმკვლელობის წახალისებას თითოეული ჩვენგანი არა სიტყვით, არამედ საქმით ვახდენთ, რადგან მოზარდებისთვის მშობლები და პედაგოგები ნაკლებად ვართ მეგობრები და მათ რაიმე პრობლემის ან შეცდომის დროს ჩვენი მხარდაჭერის იმედი არ აქვთ; ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ ბევრ თემას ადევს ტაბუ და იმისი შიში, რომ მოზარდს ვერ გაუგებენ და ის საზოგადოებისგან გარიყულ სეგმენტად და არა ინდივიდად იქცევა, ბევრისთვის სუიციდის მაპროვოცირებელი ფაქტორი ხდება.

ინგა შიოლაშვილი

მსოფლიოში ყოველ წელს 1100000 ადამიანი იკლავს თავს

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველ წელს 1100000 ადამიანი იკლავს თავს. მათ შორის: 300 ათასი ჩინელი, 160 ათასი ინდოელი, 37 ათასი ამერიკელი, 30 ათასი რუსი, 30 ათასი იაპონელი, 16 ათასი ფრანგი და 10 ათასი უკრაინელი. ამავე ორგანიზაციის ცნობით, ყოველწლიურად მსოფლიოში 19 მილიონი თვითმკვლელობის უშედეგო მცდელობა აღინიშნება. სტატისტიკურად თვითმკვლელი მამაკაცების რიცხვი ოთხჯერ აღემატება თვითმკვლელი ქალების რაოდენობას. სუიციდის ყველაზე დაბალი, თითქმის ნულთან გათანაბრებული მაჩვენებლებია ეგვიპტეში, ჰაიტისა და იამაიკაზე. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია დასძენს, რომ ნებისმიერი ქვეყანა ცდილობს დამალოს თვითმკვლელობის რეალური მაჩვენებელი, რადგან ეს, სოციალურთან ერთად, პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ვარაუდობს, რომ 2020 წლისთვის თვითმკვლელობების ყოველწლიური სტატისტიკა 1500000-მდე გაიზრდება.

10 მითი სუიციდის შესახებ

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) თანახმად, ყოველ 40 წამში მსოფლიოს რომელიღაც წერტილში ერთი ინდივიდი მიმართავს სუიციდის მცდელობას. სწორედ თვითმკლვლელობაა სიკვდილიანობის რიგით მესამე ყველაზე გავრცელებული მიზეზი 15 დან 19 წლის ასაკის მოზარდებსა და ახალგაზრდებში.

სუიციდის პრევენციისთვის უმნიშვნელოვანეს პირობას აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. თუმცა, სამწუხაროდ, კვლევის მონაცემებით გამყარებულ ცოდნაზე მეტად, რიგით მოქალაქეებში სუიციდთან დაკავშირებული სხვადასხვა მითები უფრო პოპულარულია.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ასეთი გავრცელებული მითი და მათი შესაბამისი ფაქტები:

მითი № 1 ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ თავის მოიკლავს, სინამდვილეში ამას არ გააკეთებს.

ფაქტი: შესაძლოა ადამიანი მართალაც ყურადღების მიქცევის მიზნით იმუქრებოდეს თავის მოკვლით და სულაც არ ჰქონდეს ასეთი განზრახვა ან სურვილი. მაგრამ ასეთი განცხადებების იგნორირება ძალიან სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს. თუკი სტატისტიკას გადავხედავთ, 10 დან 8 ადამიანი, ვინც ახორციელებს სუიციდს, ამის შესახებ ატყობინებს გარშემომყოფებს. ამიტომ, ადამიანს რომელიც იმუქრება თვითმკვლელობით, სერიოზულობით უნდა მივუდგეთ და შევთავაზოთ შესაბამისი დახმარება.

მითი №2 სუიციდი გაფრთხილების გარეშე, მოულოდნელად ხდება

ფაქტი: გარშემომყოფები ხშირად აღნიშნავენ, რომ ადამიანმა სრულიად მოულოდნელად მოიკლა თავი, რომ მის თვითმკვლელობაზე არაფერი მიუთითებდა, თუმცა სინამდვილეში სუიციდს როგორც წესი წინ უსწრებს სხვადასხვა სასიგნალო, გამაფრთხილებელი ნიშნები: ადამიანმა შესაძლოა დაკარგოს ინტერესი მისთვის ერთ დროს სასიამოვნო აქტივობების მიმართ, ჩაიკეტოს საკუთარ თავში, გამოემშვიდობოს საყვარელ ადამიანებს, დაარიგოს პირადი ნივთები, მოულოდნელდ შეიცვალოს მისი ძილის, კვების რეჟიმი და ა.შ.

მითი №3 თუკი ადამიანი თავის მოკვლას ცდილობს, ე.ი. მას ბოლომდე აქვს გადაწყვეტილი სიკვდილი

ფაქტი: ადამიანთა უმეტესობა, რომელიც სუიციდს მიმართავს სინამდვილეში დილემის წინაშე დგას: ერთი მხრივ მათ სურთ სიცოცხლის გაგრძელება და მეორე მხრივ იმ ტკივილისთვის ბოლოს მოღება, რომლის ატანაც და გაძლებაც აღარ შეუძლიათ. ასეთი ამბივალენტური განცდები და დამოკიდებულებები შეიძლება ადამიანმა სიტყვიერად გამოხატოს ან ეს შესაძლოა აისახოს მის ქცევაში.

მითი № 4 თუკი ადამიანმა ერთხელ სცადა თავის მოკვლა და გადარჩა, იგი მეორეჯერ ამას აღარ გააკეთებს.

სინამდვილეში წარსულში განხორციელებული სუიციდის მცდელობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რისკ ფაქტორს მომავალში ასეთი ქმედების განმეორებისთვის. სტატისტიკის თანახმად, ადამიანთა დიდ ნაწილს, რომელიც თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს, წარსულშიც ჰქონდათ მსგავსი მცდელობები.

მითი №5 გაუმჯობესება სუიციდალური კრიზის შემდგომ, ნიშნავს, რომ სუიციდის რისკი გადალახულია

ზოგჯერ ეს მართლაც ასეა. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები მხოლოდ გარეგნულად ახდენენ სუიციდის მცდელობის შემდგომი კრიზისის გადალახვას და სინამდვილეში თავს უკეთ იმის გამო გრძნობენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობენ თავის მოკვლასთან დაკავშირებით და გეგმავენ ამის განხორციელებას. ის აზრი, რომ მათ ტკივილს მალე მოეღება ბოლო, შვებას ჰგვრით და სწორედ ამით აიხსნება მათი ერთი შეხედვით გაუმჯობესებული მდგომარეობა.

მითი № 6 სუიციდს ახორციელებენ უმეტესად მდიდარი/პირიქით ღარიბი ადამიანები

სუიციდი არ არის კავშირი სოციო-ეკონომიკურ ფაქტორებთან. იგი გავრცელებულია ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლებს შორის.

მითი №7 სუიციდი მემკვიდრეობითია

სუიციდი მართლაც გვხდება ახლო ნათესაური კავშირის მქონე ადამიანთა შორის, ამიტომ ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი გენეტიკურია. თუმცა სპეციფიური გენი, რომელიც ასეთ მიდრეკილებაზე აგებს პასუხს, არ არის აღმოჩენილი. მკლევართა ნაწილი ასეთი შემთხვევების ალტერნატიულ ახსნას გვთავაზობს და ხაზს უსვამს სხვა ფაქტორების როლსა და მნიშვნელობას. გავრცელებული მოსაზრების თანახმად ოჯახის ერთი წევრის მიერ განხორციელებული სუიციდი, გავლენას ახდენს და ცვლის სხვა წევრების დამოკიდებულებას ამ ფენომენის მიმართ. თავის მოკვლა რის შედეგადაც აღიქმება პრობლემასთან გამკლავების ოპტიმალური საშუალებად.

მითი №8 მხოლოდ დეპრესიაში მყოფი ადამიანები იკლავენ თავს

დეპრესიის არსებობა მართლაც ზრდის სუიციდის განხორციელების რიკს, თუმცა იგი არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისთვის, რომ ადამიანმა სცადოს ან განახორციელოს თვითმკვლელობა.

მითი №9 თუკი ადამიანს სუიციდის შესახებ ვკითხავთ რამეს, ამით შეიძლება თავის მოკვლის იდეა მივაწოდოთ

სუიციდის განზრახვის შესახებ პირდაპირ დასმული კითხვა არ ქმნის და არ ზრდის ასეთი ქმედების განხორციელების რისკს. თუკი ადამიანს მართლაც აწუხებს მსგავსი აზრები, ღია, პირდაპირი საუბარი ამ თემაზე ყველაზე ოპტიმალურ სტრატეგიადაა მიჩნეული. ასეთი საუბარი ხშირად ეხმარება ადამიანს შფოთვის შემცირებაში და ხელს უწყობს სუიციდის პრევენციას.

მითი № 10 სუიციდალური ადამიანის დახმარება მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია

მიუხედავად იმისა, სპეციალისტის ჩართულობა ხშირად შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ სუიციდის რისკის ქვეშ მყოფი ადამიანის დახმარება და მისი ემოციური მხარდაჭერა ახლობენ ადამიანებსაც შეუძლიათ. აღსანიშნავია, რომ ფსიქოთერაპიის წარმატებასაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სწორედ ოჯახის, მეგობრების მხარდამჭერი ქსელის არსებობაზე.

ზემოთ გავრცელებულმა მითებმა და მცდარმა წარმოდგენებმა, რომლებიც როგორც დავინახეთ ნაკლებად შეესაბამება რეალობას, შესაძლოა თითოეული ჩვენგანი მიიყვანოს არაადეკვატურ ქმედებამდე ან გვიბიძგოს უმოქმედობისკენ სუიციდის რისკის ქვეშ მყოფ ადამიანთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია თითოეულ ჩვენგანს გააჩნდეს სწორი, ზუსტი ინფორმაცია ამ თემასთან დაკავშირებით, რაც როგორც აღვნიშნეთ სუიციდის პრევენციისთვის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

კახეთის აჯანყების გმირი

ბახტრიონის ომმა მტერიც და მოყვარეც კიდევ ერთხელ დაარწმუნა ქართველი ხალხის გაუტეხელობაში, უძლეველობასა და უკვდავებაში-ვკითხულობთ „დედა-ისტორიაში“.

რაოდენ საამაყოა თითოეული ახმეტელისათვის იმის განცდა, რომ 1659 წლის ცნობილი აჯანყების ორგანიზატორი და სულის-ჩამდგმელი, ახმეტის მკვიდრი შვილი იყო, რომელმაც თავისი სამაგალითო გმირობითა და სამშობლოსათვის გაუგონარი თავგანწირვით, არა მარტო თავისი პიროვნება უკვდავყო სამარადჟამოდ, არამედ საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერა ახმეტის სახელიც, რითაც ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა ახმეტელთა ფასდაუდებელ წვლილს, ღვაწლსა და ამაგს ერისა და ქვეყნის წინაშე.

მართალია, საქართველოს თავისი ისტორიის განმავლობაში მრავალი მტერი ჰყავდა, რომელთაც თავისი მახვილი მოღალატეთა და მომხვდურთა მოგერიებაში გაცვითეს და საკუთარი სიცოცხლე უყოყმანოდ მიიტანეს დედა-საქართველოს სამსხვერპლოზე, მაგრამ სულ სხვა იყო ბიძინა ჩოლოყაშვილის თავგანწირვა, რამეთუ, ამ ბუმბერაზ ადამიანს ბედმა არგუნა ერისა და ქვეყნისათვის თავდადებულთა და წამებულთა შორის, წამებულთა წამებულის ტვირთი ეტვირთა.

როგორც დედა ისტორიაში არის გადმოცემული: „ის ასოეულებად ასჭრეს და აჰკაფეს.. ასოეულებად აჭრილი და აკაფულნი ისრებით დაცხრილეს, მახვილებით დაჩეხეს, ტყვიებით დახვრიტეს..

ბიძინა ჩილოყაშვილის ნაშთები ევროპელმა კათოლიკე ბერებმა მოიპარეს და იდუმალ დაკრძალალეს სადღაც უცნობ ადგილას“.

მართლაც რომ, ბედნირია ერი, რომელსაც ასეთი მამულიშვილები ჰყავს. ორმაგად ბედნიერები არიან ახმეტელები, რომლებიც დიდი ბიძინას ნატერფალ მიწზე ცხოვრობენ.

პირველი ოქტომბერი საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ბიძინა ჩოლოყაშვილის ხსენების დღეა.

როგორც იქნა დიდი ხნის ოცნება აუსრულდათ ახმეტელებს: მრავალრიცხოვანი მრევლის თხოვნითა და თაოსნობით ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მშენებლობა კარგახანია დასრულდა. ეკლესიის საძირკველის გაჭრა აკურთხა ალავერდელმა მიტროპოლიტმა აბბა დავითმა.

ყოველ წელს ოქტომბრის დასაწყისში ბიძინა ჩოლოყაშვილის ხსონის სადიდებლად „ბიძინაობა“ იმართება.

მარიკა პოპიაშვილი

ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები

წმიდა ბიძინა ჩოლოყაშვილი და ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავნი XVII საუკუნეში აღესრულენენ მოწამეობრივად. შაჰ-აბას I-მა და მისმა ძემ, შაჰ-აბას II-მ განსაკუთრებული სისასტიკით კახეთი ააოხრეს. მამა და შვილი საბეღისწეროდ, ყორნებივით დასჩხაოდნენ თავს ივერიას და ცეცხლის ალში ხვევდნენ ეკლესია-მონასტრებს და ციხე-სიმაგრეებს, ათასობით ქართველს მშობლიური მიწიდან ყრიდნენ, სპარსეთში მიერეკებოდნენ და მათ ნაცვლად სპარსელებს ასახლებდნენ.

თეიმურაზ I-ის დაუღალავმა საქმიანობამ და მისმა სწრაფვამ, ეპოვა დასაყრდენი რუსეთში, შაჰ-აბას მეორის (1642-1666) ირანში გააცოცხლა იდეა კახეთში თურქმანთა ჩამოსახლებისა და სახანოს შექმნის შესახებ.

როგორც აღნიშნავს სეფიანთა ირანის ერთ-ერთი ცნობილი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი, შაჰის გადაწყვეტილებით შიდა და გარე კახეთის მიწებზე უნდა დასახლებულიყო მომთაბარე-მეჯოგე თურქმანების 15000 ოჯახი. ისინი უნდა დამაგრებულიყვნენ ამ ნაყოფიერ მიწებზე, “შედგომოდნენ ხვნა-თესვას, შენებას და დასახლებას”. ამ სტრატეგიული მიზნის განხორციელებისათვის ირანის შაჰმა შაჰ-აბას მეორემ (1642-1666) კახეთში წინასწარი სამუშაოები ჩაატარა: ალავერდი-ხანის ხელმძღვანელობით საქართველოში სამი ციხე აიგო: ბახტრიონის ციხე ალაზნის მარცხენა ნაპირზე, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა; ალავერდის მონასტერი ციხე-სიმაგრედ გადაკეთდა; მესამე ციხე კი უნდა ყოფილიყო ყარაღაჯის ციხე — XVII ს.-ის კახეთის ყიზილბაში ხანების რეზიდენცია.

თურქმანების ჩამოსახლების საქმე შაჰმა მიანდო ყიზილბას სელიმ-ხანს, რომელიც კახეთს მართავდა მას შემდეგ, რაც შაჰმა როსტომ მეფეს დროებით მიერთებული (1648 წლიდან) კახეთი ჩამოართვა. სელიმ-ხანის ხელმძღვანელობით ორი წლის განმავლობაში კახეთში ჩამოსახლდა თურქმანთა დიდი ურდოები ადარბადაგანიდან. იგეგმებოდა მთელი შიდა და გარე კახეთის ბარის თურქმანი მომთაბარეებისათვის გადაცემა. სელიმ-ხანის შემდეგ კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე ყარაბაღის ბეგლარბეგს მურთაზ ყული-ხანს, ხოლო დანარჩენი ნაწილი ნახჭევანის მმართველს ალი ყული-ხან ქენგერლუს გადაეცა. სწორედ ამ მმართველთა დროს ჩასახლდა კახეთში 80000-მდე მომთაბარე ელი.

კახეთის კულტურულ მეურნეობას მომთაბარე თურქმანებისაგან გადაშენების საფრთხე დაემუქრა; მესაქონლე ელები ვენახების აჩეხვას და კახეთის მიწების იალაღებად გადაქცევას აპირებდნენ. თუშ-ფშავ-ხევსურნიც მძიმე დღეში აღმოჩნდნენ - მწირი მთა ბარის პურითა და ღვინით ირჩენდა თავს, მთიელები ბარის საზამთრო საძოვრების გარეშე ვერც ცხვარს გამოკვებავდნენ. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა ყიზილბაში მეციხოვნეებისგანაც იყო შეწუხებული. მომთაბარე გადამთიელთაგან მთისა და ბარის შევიწროება ერთ ხალხურ ლექსში ასეა გადმოცემული:

“ბახტრიონს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ახმეტას ჩავჭრით ვენახსა,
შიგ დავასახლებთ ელსაო”.

ირანის პოლიტიკას დოკუმენტურად ასახავს იმჟამინდელი სპარსული ისტორიული საბუთები, რომლებიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და სახელმწიფო არქივშია დაცული.

საყოველთაო საფრთხის წინაშე გაერთიანდა მთა და ბარი, გლეხკაცი და ყმა-მამულების პატრონი. საერთო სახალხო აჯანყებას ზაალ არაგვის ერისთავი ჩაუდგა სათავეში, თუმცა აჯანყების დაწყების შემდეგ მას უშუალო მონაწილეობა აღარ მიუღია ბრძოლაში. ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორები იყვნენ თეიმურაზ I-ის თანამებრძოლი ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ხალხური საისტორიო პოეზიის გმირი, მთიელთა ბელადი თუში ზეზვა გაფრინდაული, ხევსური ნადირა ხოშარაული, ფშავი გოგოლაური და სხვები. აჯანყება მართლაც საყოველთაო იყო. კახელებსა და მთიელებს მხარი ქართლმაც დაუჭირა.

ბიძინა კარგად ხედავდა ქართველთა შესაძლებლობებს, მაგრამ, ღვთის ნებას მინდობილს და სამშობლოს გამოხსნის აუცილებლობაში დარწმუნებულს, სჯეროდა გამარჯვებისა.

აჯანყებულთა გაერთიანებული ლაშქარი ზაალ არაგვის ერისთავის ვაჟის ზურაბისა და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების მეთაურობით ახმეტაში ჩავიდა. არაგვის ერისთავმა „მცირედნი ოდენ კაცნი რჩეული მხედრები მისცნა თანაშემწედ საიდუმლოდ“, ხოლო ქსნის ერისთავებმა - ბიძაძმისწულმა - ქუდზე კაცს უხმეს, შეყარეს თუშნი, მთიულნი, მცირედ კახნი... უმთვარო ღამეს მთა გადაიარეს, ახმეტა ჩავლეს და მოულოდნელად დაეცნენ თავს ბახტრიონს უზრუნველად დაბანაკებულ თათრებს.

კახეთის ლაშქარი ბიძინა ჩოლოყაშვილის სარდლობით ალავერდს მიუახლოვდა. აჯანყებულებმა ერთდროულად შეუტიეს ბახტრიონსა და ალავერდს. ბახტრიონის ციხეში შეჭრილმა ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს ყიზილბაში მეციხოვნეები,

რომელთაგან ნაწილი დაიღუპა, ხოლო დარჩენილებმა გაქცევა სცადეს ალავერდის მიმართულებით. ალვანის ველზე ისინი შეეჩეხნენ ალავერდის ციხიდან ბიძინა ჩოლოყაშვილის მიერ გამოდევნილ რაზმებს. ქართველებმა ერთიანად ამოჟლიტეს მტერი. ამის შემდეგ აჯანყებულებმა მუსრი გაავლეს დანარჩენ თურქმანებსაც; ნაწილი გაანდაგურეს, ნაწილმა კი გაქცევით უშველა თავს. იმავე დღეს, 1659 წლის ალავერდობის დღესასწაულზე მიუხდნენ ალავერდს მყოფ ყიზილბაშებს და ისე გაანადგურეს, რომ არდალანის სულთანმა სელიმ-ხანმა ძლივს მოასწრო გაქცევა, მიატოვა ცოლ-შვილი და სპარსეთს გაეშურა.

ამ ისტორიული გამარჯვების შედეგად კახეთი გადაურჩა განადგურება-გადაშენებას, შაჰმა უკან დაიხია და ხელი აიღო თავის მზაკვრულ გეგმაზე, თუმცა უფრო შორეული, საბოლოო მიზანი — ირანელთა განდევნა და მეფობის აღდგენა — მიუღწეველი დარჩა.

თავისუფლად ამოისუნთქა კახეთმა, უზომოდ გახარებული თავს ევლებოდა თავის ერთგულ შვილებს... მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა სამშობლოს მხსნელი გმირების ნეტარება. განრისხებულმა შაჰ-აბასმა ქართლის მეფეს, ვახტანგს, სპარსთაგან შაჰ-ნავაზად წოდებულს, უბრძანა, ქრისტეს ახოვანი მხედრები მასთან გაეგზავნა.

ირანის შაჰმა დაუნდობლად გაანადგურა აჯანყების მოთავენი — ზაალ ერისთავი მოაკვლევინეს მისსავე ძმისწულებს, მისი შვილები კი შეიპყრეს და ირანში გააგზავნეს. ირანში ხმობილი ბიძინა, შალვა და ელიზბარი შაჰმა გადასცეს თურქმანთა ტომებს, რომლებმაც ქართველი გმირები სასტიკი წამებით დახოცეს 1662 წლის 18 სექტემბერს - ასო-ასო აჭრეს და შემდეგ თავები მოჰკვეთეს.

წმიდანები გააშიშვლეს და გზაზე დაყარეს მწერთაგან დასაგესლად. განრისხებულმა სელიმ-ხანმა გადაწყვიტა, ბიძინას შესაშინებლად მის თვალწინ თავი წარეკვეთათ წმიდა ელიზბარისა და შალვასთვის. „არა რა არს უტკბილეს ქრისტესთვის სიკვდილისა“, - ბრძანა წმიდა ბიძინამ.

ქსნის ერისთავებმა მშვიდად დადრიკეს თავები, მაგრამ ჯალათებმა მახვილები ვერ შეაწვდინეს დასარტყმელად, რადგან სანატრელნი ახოვანებით დიდად აღემატებოდნენ უსჯულოებს. მაშინ მტარვალებმა წვივებში ჩასცეს მახვილი და, როცა დავარდნენ, თავები წარკვეთეს ნეტარ ბიძაძმისწულს.

თანამბრძოლთა სიკვდილს ოდნავადაც არ შეუშინებია წმიდა ბიძინა. მტარვალმა გადაწყვიტა, შეურაცხყოფით მოეტეხა ბიძინას სიმხნევე. ახოვან გმირს დედაკაცის ჩადრი დაახურეს, ვირზე შესვეს და ქუჩა-ქუჩა ატარეს, დასცინოდნენ და ლანძღავდნენ რჩეულთა შორის გამორჩეულ ქართველს; წმიდა ბიძინა კი ჰმადლობდა ღმერთს.

ამის შემდეგ ჯალათებმა გადაწყვიტეს, ცოცხლად აეჩეხათ წმიდანი: ალესილი მახვილებით ჯერ ხელის თითები მოჰკვეთეს სათითაოდ, მერე - ფეხისა; თითების შემდეგ ხელები მოსჭრეს მაჯებამდე და ფეხები - კოჭებამდე; შემდეგ მოჰკვეთეს ორივე მკლავი იდაყვამდე და ორივე ნვივი მუხლამდე. მოკვეთილ ასოებს მიწაზე ათრევდნენ და შეურაცხყოფდნენ. ბოლოს დაჩეხილ ტანზე თავიღა დარჩა უვნებელი. ბაგეების მოძრაობით ჩანდა, რომ გული ჯერ კიდევ ფეთქავდა და წმიდანი ლოცულობდა. მაშინ ერთმა ჯალათმა შუბი უგმირა და გულიც გაუჩერა, გული, რომელმაც გაუძლო ამდენ ტკივილს. ეს ამბავი 1661 წელს მოხდა.

წმიდა მოწამეთა გვამები მთელი დღე ღია ცის ქვეშ ეყარა და მიახლოებას ვერავინ ბედავდა. ღამით მათ ნათელი დაადგა. ქრისტიანებმა ფარულად დაკრძალეს წმიდანთა ნეშტი. არსებობს გადმოცემა, რომ აჯანყებულთა თავები მოიპარეს კათოლიკე მისიონერებმა, როგორც წმინდა რელიკვია.

მრავალი წლის შემდეგ შალვას მეუღლემ, ქეთევანმა და მისმა ძემ, დავითმა სარწმუნო კაცები წარგზავნეს წმიდანთა ნეშტის ჩამოსასვენებლად.

ქართლში ჩამოსვენებულ წმიდა ნაწილებს მრავალი მორწმუნე შეეგება თაყვანისცემითა და ამბორისყოფით. კახეთის მხსნელი გმირები პატივით და დიდებით დაკრძალეს იკორთის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში. ისინი ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა, ხსენების დღე — 18 სექტემბერი, ახალი სტილით 1 ოქტომბერი.

არსებობს ძეგლის სვინაქსარული რედაქციაც, რომელიც შემდგომში კიდევ შეუმოკლებიათ. შალვა ქსნის ერისთავის შვილიშვილს იესე ერისთავს მათთვის ორი საგალობელი, ნიკოლოზ თბილელსა და ანტონ კათალიკოსს კი იამბიკოები მიუძღვნიათ.

საერთო სახალხო აჯანყების გმირების შესახებ მოგვითხრობს “ქართლის ცხოვრება”, ირანელი მემატიანე მოჰამედ თაჰერი, ქართული ეთნოგრაფიული მასალები, მხატვრული ლიტერატურის ძეგლები — აკაკი წერეთლის, გრიგოლ ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები.

ხსოვნა

თამაზ მეხრიშვილი



10 ოქტომბერს 10 წელი გახდება შენი გარდაცვალებიდან, შვილო.

როგორ ნაადრევად წახვედი ამქვეყნიდან, შვილო თამაზ, როგორ მომიკალი გული ამ მოუშუშებელი ტკივილით. დაგვაკლდი ყველას- შენს მეუღლეს, რომელმაც უმამოდ დარჩენილ შვილებს არაფერი მოაკლო. შენი ბიჭები უკვე ვაჟკაცები არიან- დიმიტრი ეკონომისტია, ხოლო გიორგი- იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მათში გრძელდება შენი სიცოცხლე, ისინი ხომ შენი ღირსეული შთამომავლები არიან. შვილო თამაზ, შენ ხომ ძალიან კეთილშობილი და კარგი ადამიანი იყავი, კარგი პროფესიონალი, მაგრამ სწორედ შენი პროფესიული მოვალეობის შესრულებას შეეწირე... მამაშენმა ეს ტკივილი ვერ გადაიტანა, შენი სიკვდილიდან სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა... შენი დაც ძალიან გატეხა შენმა ამქვეყნიდან უდროო წასვლამ. ჩემზე აღარაფერს ვამბობ - დედის გულზე, რომლისთვისაც შვილი ყველაფერზე მაღლა დგას, მაგრამ, მე უფრო ძლიერი აღმოვჩნდი, დღემდე ვუძლებ და იმ დროს ველოდები, როცა ერთმანეთს კვლავ შევხვდებით...

სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა, შვილო თამაზ.

სოფელი ოზაანი, თამარ ზედელაშვილი

მონატრება

ტარიელ ჯამასპიშვილი

ჩვენო ძვირფასო ტარიელ, მესამედ მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ. ძალიან მოსაწყენი გახდა ცხოვრება შენს გარეშე. გულისტკივილით ვხვდებით შენს ყოველ იუბილეს. შენ ხომ ბავშვივით გიხაროდა ყოველი დაბადების დღე, რადგან ბავშვივით გულწრფელი და ალალი იყავი. გულისტკივილით გიხსენებთ შენი შვილები, მეუღლე, მეგობრები და ნათესავები.

ნათელში იყავ, სანთელ-საკმეველი არ მოგაკლდება ჩვენი ხელიდან.

შენი ოჯახი

ჩვენ გვახსოვს მასწავლებლის დღე!

5 ოქტომბერი მასწავლებლის საერთაშორისო დღეა. სამწუხაროა, მაგრამ საქართველოში ეს თარიღი დიდი პომპეზურობით არ აღინიშნება.

გამონაკლისია დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა. უკვე მეორე წელია, სკოლის მოსწავლეები განსაკუთრებულად ულოცავენ ამ თარიღს პედაგოგებს. წელსაც გადაწყვიტეს, სიურპიზი გაეკეთებინათ მათთვის, ამიტომაც 5 ოქტომბერთან დაკავშირებით სკოლაში ჩატარდა ე.წ "დუბლიორის დღე". ბავშვებმა 1 დღით მასწავლებლები "დაასვენეს" და ისინი თავად შეცვალეს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მოსწავლეები სრული სერიოზულობით მოეკიდნენ ამ საკითხს და პედაგოგებთან წინასწარი კონსულტაციებიც გაიარეს გაკვეთილების ჩატარებამდე. ყველა ბავშვმა საკუთარი სურვილით აირჩია საგანი, რასაც ასწავლიდა. შეიცვალა დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე. ისინი მთელი დღის განმავლობაში ატარებდნენ მონიტორინგს და ამოწმებდნენ სასწავლო პროცესის მსვლელობას. დღის ბოლოს გაიმართა ე.წ პედსაბჭო, სადაც შეჯამდა დღე. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ წარმატებული ყოფილან მოსწავლეები მასწავლებლის როლში და ბევრმა მათგანმა მომავლის პროფესიადაც პედაგოგობა აირჩია. ბავშვებმა შთაბეჭდილებები გაუზიარეს თავიანთ "კოლეგებსა" და პედაგოგებსაც. აი, რას ამბობს ერთ-ერთი მათგანი: "მე არც მეგონა, რომ გამომივიდოდა ეს საქმე. მეშინოდა კიდეც, მაგრამ როდესაც კლასში შევედი, აბსოლუტური პატივისცემა და სერიოზული მომზადება შევნიშნე ბავშვებში. ნამდვილად ძნელი ყოფილა პედაგოგობა. მხოლოდ ახლა მივხვდი ამას, როცა მათ ადგილას აღმოვჩნდი და მომიწია გაკვეთილის დაგეგმვა, მომზადება, დროის გათვლა, დისციპლინის დაცვა და რაც მთავარია- ჩემი ცოდნის ბავშვებისთვის გადაცემა. ეს ყოველივე საოცარ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ ერთ რამეს მივხვდი და მინდა ეს თქვენც გაგიზიაროთ: მთავარია, დიდი სიყვარული დავანახოთ მოსწავლეებს, ვეცადოთ კეთილად მოვექცეთ და მაშინ ყველაფერი დალაგდება. ამას გთხოვთ ყველას!" დუბლიორებს მადლობა გადაუხადა სკოლის დირექტორმაც, ქალბატონმა ია ლაპიაშვილმა: "უღრმესი მადლობა თქვენ ყველას დღევანდელი დღისთვის, იმისთვის, რომ ეს მივიწყებული თარიღი გაგვიცოცხლეთ. უდიდესი მადლობა იმ ძალისხმევისთვის, რისი გაღებაც მოგიწიათ იმისთვის, რომ წარმატებულად ჩატარებულიყო ყველაფერი! რა შეგვიძლია ჩვენ, თქვენს პედაგოგებს? ვერაფერს დაგპირდებით, გარდა წრფელი სიყვარულისა. მე პირადად, როგორც თქვენი დირექტორი, გპირდებით, რომ ჩემს აქ ყოფნამდე სიყვარული და სითბო არ მოგაკლდებათ! თქვენ ხართ ჩვენი მაცოცხლებელი ძალა! თქვენს გარეშე აქ ყოფნა არაფერია. გმადლობთ, რომ ასეთი კარგები ხართ!" ამის შემდეგ გაიმართა პოეზიის საღამო. ლექსები წაიკითხეს სკოლის მოსწავლეებმა: თორღვა ნაროზაულმა, ქეთევან შანშიაშვილმა, ირაკლი ხოსროშვილმა, ლიკა ლოლაშვილმა, ლაშა ლათიბაშვილმა... ულამაზესი სიმღერები შეასრულეს დებმა ლოლაშვილებმა: ანამ, მარიამმა და ლიკამ. საღამოს კულმინაცია იყო ტორტი, რომელიც მასწავლებლებს სიმღერის ფონზე მიართვეს ბავშვებმა. როგორც ყოველთვის, სიყვარულისა და სიკეთის ზეიმი იყო ამ დღეს მეორე საჯარო სკოლაში.

ასე დაგვირგვინდა მასწავლებლის დღე მეორე საჯარო სკოლაში. ბავშვებმა და პედაგოგებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს სკოლის ღონისძიებათა ორგანიზატორს, ქალბატონ მაია კეტეციანს, რომლის თაოსნობითაც ამ ორი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით ხორციელდება მსგავსი ღონისძიებები, მან კი თავის მხრივ, ბავშვების მონდომებასა და მზადყოფნას გაუსვა ხაზი. საბოლოო ჯამში, დღე საოცრად დატვირთული გამოვიდა ღონისძიებებითა და სიურპრიზებით. ტრადიცია ალბათ კიდევ და კიდევ გაგრძელდება. მეორე საჯარო სკოლა მოუწოდებს სხვა სკოლებსაც, შეუერთდნენ მათ, გამოხატონ პატივისცემა და სიყვარული თავიანთი პედაგოგებისადმი მსგავსი ფორმით, რათა ყველამ ყოველთვის შევძლოთ ამაყად წარმოვთქვათ სიტყვები: "ჩვენ გვახსოვს მასწავლებლის დღე!"

მეორე საჯარო სკოლა სარგებლობს შემთხვევით და ყველა პედაგოგს ულოცავს მასწავლებლის დღეს. დღეგრძელობასა და სიყვარულს უსურვებს მათ.

სოფიო მენთეშაშვილი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



რეკორდები - რჩეულთ, ჯანმრთელობა - ყველას!

ეს ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სურათზე ხედავთ და რომელსაც აშკარად ეტყობა რომ სპორტსმენია, დომენტი ბესოს ძე ყოჩიაშვილია. ჯანსაღი ცხოვრების წესი და დევიზი „რეკორდები - რჩეულთ, ჯანმრთელობა - ყველას!" მას ბავშვობიდან მოსდევს. ჯერ ვარჯიშობდა ჭიდაობასა და მძლეოსნობაში. იყო საქართველოს ნაკრების წევრი, მონაწილეობდა მოსწავლეთა და სტუდენტთა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში.

მისი სერიოზული გატაცება კი ბოლოს სპორტის ერთი გამორჩეული სახეობა - შუბის ტყორცნა გახდა და ყველაზე დიდ წარმატებასაც აქ მიაღწია: სწორედ სპორტის ამ რთულ სახეობაში გახდა იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ის ხშირად მონაწილეობდა საკავშირო ოლიმპიურ შეხვედრებზე. არის მრავალი ჯილდოს, დიპლომისა და სიგელის მფლობელი. დომენტი ყოჩიაშვილს გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ჩათვლით შუბი ხელიდან არ გაუგდია და თავისი რეკორდებიც არ დაუგდია. მისი მწვრთნელები იყვნენ იმ დროისთვის ცნობილი შუბოსნები ვიქტორ დოვინი - საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი და ნოე ლობჟანიძე - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ჯანსაღი ცხოვრების ნორმები მისი ყოველდღიურობაა. სწორედ ამიტომაც, იგი დღესაც მხნედ და ენერგიულად გამოიყურება. კვლავ ვარჯიშობს, ჯანმრთელობას იკაჟებს და კარგ მაგალითს აძლევს მომავალ თაობას.

დომენტი ყოჩიაშვილი სოფელ მირზაანში ცხოვრობს. ჰყავს კარგი ოჯახი და მეუღლესთან დალი ფიროსმანაშვილთან ერთად შვილებსა და შვილიშვილებში ხარობს.

მას სულ ახლახანს 70 წელი შეუსრულდა. ეს სურათი კი მისი სპორტული კარიერის გაზაფხულზეა გადაღებული და მისი ბიოგრაფიის სამახსოვრო მომენტს ასახავს.

დედოფლისწყაროს სპორტსმენთა და სპორტის გულშემატკივართა სახელით ვულოცავთ დომენტი ყოჩიაშვილს ამ საიუბილეო თარიღს. კვლავაც მხნეობას, დიდხანს სიცოცხლეს და თავის ოჯახთან ერთად გახარებას ვუსურვებთ.

ნარა გორაშვილი

ტესტი – რამდენად ძლიერია თქვენი სიყვარული?

ტესტი შეუძლიათ შეავსონ როგორც მამაკაცებმა, ასევე ქალბატონებმა. უპასუხეთ შეკითხვებს, გაარკვიეთ თქვენი დამოკიდებულება პარტნიორის მიმართ. შეგიძლიათ ლოგიკური ანალიზით უპასუხოთ თქვენი პარტნიორის მაგივრადაც. ასე მიიღებთ პასუხს კითხვაზე, გიყვართ თუ არა თქვენ ის და უყვარხართ თუ არა მას თქვენ. შეკითხვებს უპასუხეთ გულწრფელად და მხოლოდ „კი" ან „არა".

1. ეს ქალი (მამაკაცი) ცხოვრებას მირჩევნია.
2. როცა შორს ვარ მისგან, ძალიან მენატრება.
3. როცა წარმატებას ვაღწევ, პირველ რიგში, მას მინდა ამის შესახებ ვახარო.
4. მასთან სექსუალური კავშირი სიამოვნებას მანიჭებს.
5. როცა ის ცუდად არის, მეც ცუდად ვარ.
6. ძალიან არ მინდა, რომ მას ცხოვრებაში რაიმე გაუჭირდეს.
7. მასში არაფერია ისეთი, რაც გამაღიზიანებდა.
8. უცებ რომ დიდი ფული ვიშოვო, ყველაფერს მხოლოდ ჩვენ ორზე დავხარჯავდი.
9. ღმერთს ვეხვეწები, რომ ჯანმრთელი და ბედნიერი იყოს.
10. მის უარყოფით მხარეებს სიმშვიდით აღვიქვამ და საერთოდ არ მაღიზიანებს.
11. მის გამო ნებისმიერ მსხვერპლზე წავალ.
12. ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ ჩვენ სიყვარული კი არა, ურთიერთპატივისცემა გვაერთიანებს.
13. ხშირად მაქვს იმის შეგრძნება, რომ არ არსებობს ამ ქვეყნად ძალა, რომელიც ჩვენ დაგვაშორებდა.
14. ვიცი, რომ მასაც ვუყვარვარ.
15. ხელახლა რომ მქონოდა გათხოვების (ცოლის მოყვანის) საშუალება, არჩევანს კვლავ მასზე შევაჩერებდი.



შეაჯამეთ პასუხები

თუ შეკითხვების უმეტესობას უპასუხეთ „კი", შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ თქვენ პარტნიორი გიყვართ და მასაც უყვარხართ. 1-2 კითხვაზე გაცემულმა უარყოფითმა პასუხმა არ შეგაშფოთოთ.

თუ 8 ან მეტ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი გაეცით, დიაგნოზი აშკარაა - „სიყვარული აქ აღარ ცხოვრობს".

ყურადღება!

ქალაქ დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქ. N10-ში კაფე-რესტორან "ნიკას" ესაჭიროება მიმტანი და ჭურჭლის მრეცხავი. პირობების გაგება შეგიძლიათ ადგილზეც და აგრეთვე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე:

599 73 15 95

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 07.10	სამშაბათი 08.10	ოთხშაბათი 09.10	ხუთშაბათი 10.10	პარასკევი 11.10	შაბათი 12.10	კვირა 13.10
დღე	8 °	8 °	10 °	10 °	11 °	11 °	7 °
ღამე	7 °	6 °	6 °	8 °	9 °	10 °	6 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ჯოსტაშვილი (ტულატერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K